პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 49-ე წელი

№ 128 (14124)

4 ივნისი, სამშაბათი, 1968

ფასი 2 კაპ.

## 215.000 ტონა ჩაისათვის



ბათუმის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობას წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობს გამოცდილი ხამეურნეო მუშაკი ალექსანდრე ვერძაძე. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამ სოფლის მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის ნახევარი წლის გეგმა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ალ. ვერძაძეს (მარჯვნივ), რომელიც ამოწმებს ახალგაზრდა მეჩაიის ბ. ბერიძის მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# ყანა გვიხმობს!

[illegible]

მინდვრებში აგუგუნდნენ კომბაინები, ოქროსფერ გაფიცხებულ ქერის ყანებს მკიან სახელოვანი კომბაინერები, გაჩნდა პირველი კალო, დახვავდა ახალი მოსავლის მარცვალი. ყანა პირველმა ბ. ხატიაშვილმა გასჭრა და კომბაინერთა სოცშეჯიბრების პირველი სიტყვაც მას ეკუთვნის. შრომაში სახელმოხვეჭილ რესპუბლიკის კომბაინერებს მან მოუწოდა **მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ თორმეტ სამუშაო დღეში.**

ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ მემინდვრეებსა და მექანიზატორებს ხალხური სიბრძნე, რომ მოსავალი ის კი არ არის, რაც მინდორშია, არამედ ის, რაც ბეღელშია.

... და ვიდრე პურეულის ყანები ხიმწიფეში შევიდოდა, ვიდრე მინდვრად ფერს იცვლიდა ქერი, მანამდე ჩვენი მექანიზატორები გულდასმით მუშაობდნენ კომბაინების, მარცვლეულის საწმენდი მანქანების შეკეთებაზე. მემინდვრეებსაც გაუჩნდათ საზრუნავი — აწყობენ კალოებს, წესრიგში მოჰყავთ საწყობები, აკომპლექტებენ მოსავლის აღებაზე მომუშავეთა რგოლებს და სხვ.

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში პირველი სიტყვა მაინც მექანიზატორებს ეკუთვნით. ვინც დროულად და საიმედოდ შეაკეთა კომბაინები, სატვირთო ავტომანქანები, მარცვლეულის საწმენდი მანქანები, ვინც კარგად მოაწყო კალოები, წესრიგში მოიყვანა საწყობები და გზები, ყანებს შემოუთიბა ნაპირები, ვინც იზრუნა საველე სამზარეულოების მოწყობისა და მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის, იქ აუცილებლად კარგად წავა მკის საქმე.

ამ საქმეშიც პირველობა სიღნაღის რაიონს ეკუთვნის. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 მაისის ცნობით, მხოლოდ მათ ჰქონდათ შესრულებული კომბაინების რემონტის გეგმა. რაიონში სრულ წესრიგშია მოყვანილი კომბაინები, მარცვალსაწმენდი მანქანები, სატვირთო ავტომანქანები, გზები, კალოები, ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით შედგენილია მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი, მინდვრის ყველა მშრომელმა იცის თავისი სამუშაო უბანი. გარდა ამისა, დაკომპლექტებულია აგიტმხატვრული ბრიგადები, შედგენილია კინოსურათების მინდვრად ჩვენების გეგმა, საამისოდ მზად არის მოძრავი კინოდანადგარები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში ვკითხულობთ: „წითელწყაროს რაიონის მიწათმოქმედებმა [illegible]

თავთავიანი მარცვლეული კულტურების დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის მზადების დაგვიანებით დაწყება, უარყოფითად მოქმედებს მოსავლიანობაზე. კარს მომდგარი მოსავლის აღების წინ ფაციფუცი საჩიანოა, აჩქარებით გაკეთებული საქმე ნაშრომის სანახევროდ წყალში ჩაყრას უდრის. ამიტომ მექანიზატორებს, მემინდვრეებს, პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს უნდა შევახსენოთ, რომ დარჩენილ დროში გულდასმით შეაკეთონ კომბაინები, სატვირთო ავტომანქანები, მარცვალსაწმენდები, იზრუნონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, კულტურული დასვენებისათვის. ეს პირველ რიგში ეხებათ იმ რაიონებს, სადაც უახლოეს დღეებში დაიწყება პურეულის მკა.

მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ აღება დიდი საქმეა. ახლა, როცა მკა დაიწყო, ახალი საზრუნავი გაუჩნდათ აგრეთვე სახალხო კონტროლიორებს. სახალხო კონტროლიორის თვალი და ყური ყველგან უნდა ხწვდებოდეს. ადგილებზე სახალხო კონტროლის ჯგუფების წევრები შეურიგებლობას უნდა იჩენდნენ ნაკლოვანებებისადმი. მათი ვალია ნაკლოვანებების არა მარტო გამომჟღავნება, არამედ მათი უსწრაფესად აღმოფხვრისათვის ბრძოლა. ისინი ყოველი თავთავისათვის, ყოველი კილოგრამი მარცვლეულისათვის უნდა იბრძოდნენ, რომ სახალხო დოვლათი უკლებლივ დაბინავდეს ბეღელში. **პირველი განაღდი მარცვლეული — სახელმწიფოს!** — ასე ამბობენ მემინდვრეები.

მოსავლის აღების პარალელურად საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზეც უნდა ზრუნავდნენ. კარგი მეურნე ის არის, ვინც ნამჯას დროზე დაზვინავს სათანადო ადგილზე, გაწმენდს მომკილ მინდორს, მოხნავს და ნაწვერალზე აგროწესების დაცვით დათესავს ხანაწვერალო კულტურებს. თივა და ნამჯა თუ დროზე და თავის ადგილზე დავზვინეთ, პირუტყვიც მაძღარი გვეყოლება. ეს მუდამ უნდა ახსოვდეს სოფლის ყველა ხელმძღვანელს.

**მკა უკვე დაიწყო! გაივლის დღეები და ივი მასობრივად გაჩაღდება. მექანიზატორებო, მინდვრის მშრომელებო, შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ ავიღოთ და დავაბინაოთ ხუთწლედის მესამე წლის პურეულის მოსავალი, სამშობლოს მივცეთ მეტი მაღალხარისხოვანი მარცვლეული!**

## კომბაინერთა შეჯიბრება

# 12 სამუშაო დღეში ავიღოთ მოსავალი!

### ტიბაანში მკა დაიწყო

შარშანწინ და შარშან პურეულის მკა რესპუბლიკაში პირველებმა ჩვენ დავიწყეთ. მიმდინარე წელსაც ყველაზე ადრე ჩვენს მინდვრებში შემოვიდა ქერი. გუშინ ჩვენს მექანიზატორებს დიდი ზეიმი ჰქონდათ, კვლავ პირველებმა დავიწყეთ მკა. ალაზნის პირას ოქროსფრად მოლივლივე ქერის ყანებში ოთხი კომბაინი ჩამწკრივდა. მზემ კარგად რომ დააცხუნა და ნამი გაშრა, პირველმა მე დავძარი კომბაინი.

გაიჭრა ყანა! — ასე ამბობენ ოდითვე. მკა დავიწყეთ და ჩვენს გულს სიხარული მოედო. გვიხარია იმიტომ, რომ მთელი წლის შრომის შედეგს ვიმკით. ჩემს კომბაინს კვალდაკვალ მოჰყვებიან გივი ლათიბაშვილის, ავთანდილ გურაშვილის, შაქრო მჭედლიშვილის კომბაინები. პირველ დღეს ათ-ათ ჰექტარზე ავიღეთ მოსავალი. საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი გამოდის. ეს ურიგო მოსავალი როდია!

მოსავლის აღების დაწყებას სიღნაღის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. აქ იყვნენ ჩვენი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებიც. მათი რჩევით ახლადმომკილ ნაკვეთებზე ადრევე მომზადებული ნამჯის შემგროვებლები ამუშავდნენ. კომბაინების კვალდაკვალ ნამჯის საწნეხი მანქანა მარჯვედ მუშაობს. ნაკვეთი სულ მალე განთავისუფლდა ნამჯისაგან. შეკრული ნამჯა ცალკე, გზის პირას დაიზვინა. ნაწვერალზე ხვნაც არ დააყოვნეს ტრაქტორისტებმა მიხეილ მჭედლიშვილმა, დავით ციხელაშვილმა და არსენ ლათიბაშვილმა. სულ მალე ნაწვერალზე სასილოსე სიმინდის თესვა დაიწყება. ამით ჩვენს პირუტყვს მტკიცე საკვებ ბაზას შევუქმნით.

წელს ჩვენს კოლმეურნეობას საშემოდგომო თავთავიანი კულტურები 1.600 ჰექტარზე აქვს ასაღები. გეგმით 380 ტონა პურეული უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს. მოსავალს კარგი პირი უჩანს. გადავწყვიტეთ სახელმწიფოს 500 ტონა პურეული მივყიდოთ.

**ჩვენ, ტიბაანელმა მექანიზატორებმა, გადავწყვიტეთ 12 სამუშაო დღეში დავამთავროთ მოსავლის აღება.** ამასთან მკას ვაწარმოებთ უდანაკარგოდ. **პირადად მე 12 სამუშაო დღეში მოსავალს ავიღებ 240 ჰექტარზე და გავლეწავ 4.800 ცენტნერ მარცვალს.**

**კომბაინერებო! გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად!**

ბ. ხატიაშვილი,
სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერი.

## ლანჩხუთელნი

ბათუმი. (საკ. კორ.). თავდადებით შრომობენ რაიონის მეჩაიეები. მათ წლიური გეგმით უნდა მოკრიფონ 8.659 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილია 4.004 ტონა, რაც წლიური გეგმის 46,2 პროცენტს შეადგენს. მარტო 8 ივნისს რაიონში მოკრიფეს 54 ტონამდე ჩაის ნედლეული. დიდ წარმატებას მიაღწია ახალშენის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალ. ვერძაძე). ახალშენელებმა 1 ივნისს შეასრულეს ჩაის კრეფის ნახევარი წლის გეგმა. მოკრიფეს 505 ტონა. განსაკუთრებით ისახელეს თავი შ. მიქელაძის, შ. ბერიძის, შ. დოლიძის და პ. იშხანიძის ბრიგადებმა.

მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ცნობილმა მეჩაიეებმა ნანუში ლომინაძემ და მერიემ სურმანიძემ. ახალშენელი მეჩაიეები პირობას იძლევიან, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფენ 100 ტონა „მწვანე ოქროს“.

## ხუთწლედი — ვადამდე!

## ახალი ტიპის ტუმბოები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა წარმატებით აითვისა ახალი პროდუქციის — „ეცნ-5-130-1.200“ ტიპის ელექტროცენტრიდანული ტუმბოს წარმოება. ამ ტიპის ტუმბოებს, რომელთა სერიული გამოშვება უკვე დაიწყო, ნავთობის ამოტუმბვა შეუძლია 1.200 მეტრის სიღრმიდან.

მძლავრი ელექტროცენტრიდანული ტუმბოების პირველი პარტია უკვე გაიგზავნა თათრეთის ასს რესპუბლიკის ნავთის სარეწებში.

ქუთაისელმა ელექტრომექანიკოსებმა ახლახან აითვისეს „1 ეცნი-6-160-1.100“ ტიპის ცვეთგამძლე ელექტროცენტრიდანული ტუმბოების წარმოება. ასეთ ტუმბოებს, რომლებიც აგრეთვე ნავთობის მრეწველობისათვის არის განკუთვნილი, პლასტმასისაგან დამზადებული მუშა ბორბალი აქვთ და ისინი ძირითადად აზერბაიჯანის ნავთის სარეწების ქარბსილიან ნიადაგებში იქნება გამოყენებული.

## ზრდიან წარმადობას

ფოთი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა საწარმოს — „ფოთიელექტროაპარატის“ ქარხნის სახელი ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

ქარხანა ოცზე მეტი დასახელების პროდუქციას უშვებს. აქ დამზადებულ წინაალმდეგობის ყუთებს, წრიულ დენმიმღებებს, პოტენციომეტრულ რეოსტატებს და სხვას ამწე მექანიზმებზე, ჩარხმშენებლობაში და ელექტროტრანსპორტზე იყენებენ.

ფოთელ მეაპარატეთა ნაწარმს ურეკლამაციოდ იღებენ საზღვარგარეთის 22 ქვეყანაში.

ქარხანა შეუნელებლად ზრდის წარმადობას. წელს თუ საწარმომ 78 ათასი ცალი წინაალმდეგობის ყუთი და 2 ათასი ცალი წრიული დენმიმღებები უნდა გამოუშვას, ხუთწლედის ბოლოსათვის, როგორც ეს განაცხადა ქარხნის დირექტორმა შ. იობიძემ, — წინაალმდეგობის ყუთების დამზადება 150 ათას ცალამდე გადიდდება, ხოლო წრიული დენმიმღებებისა — 6-8 ათას ცალამდე.

## მოსკოვში ჩამოვიდნენ ავღანეთის მეფე და დედოფალი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 3 ივნისს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და დედოფალი უმაირა.

ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო სტუმრებს შეხვდნენ ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ი. ვ. ანდროპოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

## ფინელი სტუმარი

3 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლელაშვილმა მიიღო თბილისში ჩამოსული ფინეთის სპორტის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ი. ნიემი და მისი მეუღლე.

მ. ლელაშვილი სტუმარს ესაუბრა საქართველოს ისტორიულ წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებაზე. შეეხო რა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, მან თქვა, რომ ერთ-ერთი მისი დამახასიათებელი თვისებაა მისაწვდომობა და მასობრიობა.

საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვმა ერთ მილიონს მიაღწია.

ი. ნიემიმ განაცხადა, რომ საბჭოთა სპორტს ახასიათებს მასობრიობა და ოსტატობა. მან აღნიშნა, რომ ფინეთში კარგად იციან ქართველ სპორტსმენთა, განსაკუთრებით მოჭიდავეთა წარმატებანი.

ფინეთის სპორტის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებებთან მისი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციების მტკიცე ურთიერთობის გამო.

საერთაშორისო სპორტული ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნა მ. მ. ლელაშვილმა, ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგების, მეგობრობისა და ნდობის დამყარებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე, პროფსაბჭოს მდივანი თ. ცანავა, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარე გ. ელისეევი, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე. (საქდესი).

## საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კულტურული თანამშრომლობა

3 ივნისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის 1968-1969 წლების გეგმას.

გეგმის ხელის მოწერამდე ჩაიმართა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება, რომელზეც კმაყოფილებით აღინიშნა ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის წარმატებით განვითარება. აღინიშნა, რომ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ფართოდ ხორციელდებოდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი ღონისძიებანი.

ახალი გეგმა დიდ შესაძლებლობებს ქმნის საბჭოთა და იუგოსლავიის ორგანიზაციებს შორის უმაღლესი განათლების, კულტურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვის, კინოს, რადიოს, ტელევიზიისა და სპორტის დარგში თანამშრომლობისათვის. თავიანთ თანამშრომლობას განავრძობენ შემოქმედებითი კავშირები და თეატრალური მოღვაწენი. (საკდესი).

## საინტერესო ნაპოვნი ასტრახანის არქივში

ასტრახანში გაიხსნა საბჭოთა საარქივო საქმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. მასალებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ახლად გამოტანილი დოკუმენტები ამას წინათ აღმოჩენილი საქმიდან „სხვადასხვა გუბერნიიდან გამოქცეული ჩასაწერი ყმა გლეხების გვარ-სახელის სიები“. დოკუმენტები განეკუთვნება მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის დამდეგს. ამ დოკუმენტებმა არქივის მუშაკებს დააზუსტებინეს ნ. ვ. ულიანოვის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პაპის ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი.

მასალებს რომ ეცნობოდა, ასტრახანის სახელმწიფო არქივის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა რ. მ. მოსტოვაიამ ყურადღება მიაქცია ასტრახანის გუბერნიაში 1793 წლამდე ჩამოსული გლეხების სიას. სიაში არის შემდეგი ჩანაწერი: „ნიკოლოზ ვასილის-ძე ულიანინი... ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის სოფელ ანდროსოვის მემამულის სტეფანე მიხეილის-ძე ბრეხოვის გლეხი გაიქცა 1791 წელს“. (დადგენილია, რომ ვ. ი. ლენინის პაპა დოკუმენტებში ულიანინის გვარით წერია).

ამრიგად, დოკუმენტი უშუალოდ მიგვანიშნებს, რომ ნ. ვ. ულიანოვი ყოფილა ყმა გლეხი, რომელიც ასტრახანის გუბერნიაში ჩამოსულა ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიიდან. დღემდე ეს ცნობები ისტორიკოსებს არ გააჩნიათ. გააანალიზეს და შეადარეს რა ერთმანეთს დოკუმენტები, მკვლევარებმა დააზუსტეს ვ. ი. ლენინის პაპის დაბადების წელიც (1769 წ.).

აქამდე ცნობილი იყო, რომ ვ. ი. ლენინის პაპა ცხოვრობდა სოფელ ნოვოპავლოვსკში. ამასვე ადასტურებს მამასახლისის მიერ შედგენილი უწყისი. აქვეა ნ. ვ. ულიანოვის გარეგნული ნიშნები: „სიმაღლე — 2 არშინი და 5 გოჯი, თმა და წვერ-ულვაში ღია ფერისა აქვს, სახე — თეთრი, თვალები — თაფლისფერი“. ნოვოპავლოვსკიდან ნიკოლოზ ვასილის-ძე ასტრახანში გადასახლდა.

ეს მასალები გამოფენილი იქნება ასტრახანში ულიანოვების სახლში. სადაც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის გათვალისწინებულია გაიხსნას მემორიალური მუზეუმი. (საკდესი).

## გამოცდები სკოლებში

25 მაისს უკანასკნელად დაირეკა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლების X და XI კლასელებისათვის სასკოლო ზარი. საგამოცდო ფუსფუსში გავიდა რამდენიმე დღე, და აი სკოლის ცხოვრებაში დაიწყო ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — გადასაყვანი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები.

ოთხიოდე დღის წინათ, 31 მაისს ჩვენი რესპუბლიკის 60.000-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი თითქოს უფრო დადინჯებული მოვიდა წერითს გამოცდაზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. მათი ცხოვრების პატარა ისტორიაში ეს იყო პირველი გამოცდა საშუალო განათლების ატესტატის მისაღებად.

დედაქალაქის პირველი საშუალო სკოლა. როგორც ყველგან, გამოცდა აქაც დანიშნულია დილის 9 საათისათვის. მაგრამ მეათეკლასელები უფრო ადრე მოსულან. ახალგაზრდებს ემჩნევათ, რომ ცოტათი ღელავენ, მაგრამ დიდ დარბაზში მაინც გაბედულად უახლოვდებიან სასწავლო მერხებს და თითო-თითოდ სხდებიან.

გაიხსნა პაკეტი. აი თემები: 1. გლეხობა ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაში; 2. ვაჟა-ფშაველას ლირიკა; 3. შრომის როლი ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვასა“ და კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ მიხედვით. ეტყობა, თემები ნაცნობია. კმაყოფილების გუგუნმა გადაიარა დარბაზში. ახალგაზრდები დაფიქრდნენ და უჩვეულო სიდინჯით შეუდგნენ წერას.

— წერის შედეგები ცუდი არ არის, — გვეუბნება პირველი საშუალო სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის დელეგატი ნ. კიკვაძე, — პირველი თემა 72-მა აირჩია დასაწერად, მეორე თემას 21 მოსწავლე შესჭიდებია, ხოლო 33 ახალგაზრდას მესამე თემა მოსწონებია. დაწერილი თემების მოცულობაც დამაკმაყოფილებელია. 124 მეათეკლასელიდან 21-მა ხუთიანი მიიღო, 26-მა — ოთხიანი, ხოლო 77 მოსწავლემ სამიანი დაიმსახურა. არცერთი ორიანი. უმაღლესი ნიშნით — ხუთიანებით შეფასდა იმ მეათეკლასელთა ნამუშევრები, რომლებიც თანმიმდევრულად ბეჯითად მეცადინეობდნენ და გამოცდებზეც საფუძვლიანი ცოდნა და უნარი გამოავლინეს. ათი წლის შრომამ ამაოდ არ ჩაუვლია.

წელს 77.952 მოზარდი ამთავრებს მერვე კლასს. მათ პირველ ივნისს ალგებრაში (წერა) ჰქონდათ გამოცდა. მათი გამოსაშვები გამოცდები 10 ივნისისათვის დამთავრდება.

ყველა ტიპის სკოლების IV, V, VI, VII, IX და საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი საშუალო სკოლების X კლასებში გადასაყვანი გამოცდები, რაც ჩვენს სკოლებში ყოველწლიურად საგნების მონაცვლეობით ეწყობა, იწარმოებს 1 ივნისიდან 7 ივნისამდე.

— იმ მოსწავლეებს, რომლებსაც საშემოდგომო გამოცდა მიეცათ, — გვეუბნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე თ. ნიკოლაიშვილი, — საგნის მასწავლებლები გაუწევენ დახმარებას. მათთვის 24 ივნისამდე ყველა სკოლაში რეგულარულად მოეწყობა ჯგუფური მეცადინეობა და ინდივიდუალური კონსულტაციები.

გამოცდები დამთავრდება 22 ივნისს.

ე. მამალაძე.

* * *



თბილისის 123-ე საშუალო სკოლის V2 კლასში გამოცდა მიმდინარეობს ბოტანიკაში.

სურათზე: საგნის მასწავლებელი მ. გელაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე გ. მაჩაიძე და ასისტენტი ა. ბესელია ისმენენ ფრიადოსანი მოსწავლის ნესტან ხახუბიას პასუხს.

ფოტო ვ. ვენგიურისა.

## ქალაქი — სასწავლო კლასი

ლენინგრადი, 3 ივნისი. (საკდესის კორ.). ლენინგრადის სამშენებლო მოედნები ათი დღით გადაიქცა თავისებურ სასწავლო კლასებად. დღეს აქ გაიხსნა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების დამონტაჟების დროს შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების სრულიად საკავშირო სკოლა. იგი მოიწვია სსრ კავშირის სახმშენმა.

ლენინგრადი შემთხვევით როდი აირჩიეს სრულიად საკავშირო სკოლის მეცადინეობის ადგილად. ათი წლის წინათ აქ ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა სახლთსაშენებელი კომბინატები, რომელთა მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა დიდპანელიანი საბინაო მშენებლობის ტემპი და გაუმჯობესდა მისი ხარისხი. ახლა ქალაქში ახალი საცხოვრებელი სახლების 60 პროცენტზე მეტს აშენებს ხუთი კომბინატი.

დიდპანელიანი სახლების აწყობის ახალ მეთოდებსა და შრომის ორგანიზაციას ლენინგრადის მოედნებზე უჩვენებენ მოწინავე მშენებლები.

## წითელი დროშა — გამარჯვებულებს

თბილისის საცალო სავაჭრო ორგანიზაციათა სამმართველოს კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების 1968 წლის 1 კვარტალის შედეგებისათვის ამ სამმართველოს და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭათ „თბილისქსოვილვაჭრობის“ მუშაკებს.

ამ მოწინავე სავაჭრო ორგანიზაციამ მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა კვარტალი. პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, დავალების გადაჭარბებით მოსახლეობას მიეყიდა 66 ათასი მანეთის სხვადასხვა ქსოვილი. ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის ბაზრობებზე შესყიდულია 3 მილიონი მანეთის ქსოვილები. უკანასკნელ ხანს აქ აქტიურად ინერგება ახალი, მოსახლეობისათვის მოსახერხებელი ვაჭრობის ფორმები.

დროშის გადაცემას მიეძღვნა საქართველოს დედაქალაქის ვაჭრობის მუშაკთა აქტივის კრება.

თბილისის საცალო სავაჭრო ორგანიზაციების სამმართველოს უფროსმა ნ. ბიბილეიშვილმა „თბილისქსოვილვაჭრობის“ კოლექტივს მიულოცა მაღალი ჯილდო და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა „თბილისქსოვილვაჭრობის“ დირექტორს ბ. ალანიას.

№ 14 მაღაზიის გამგემ ჟ. ბერაძემ, № 10 მაღაზიის დირექტორმა შ. შაფათავამ, № 5 მაღაზიის უფროსმა გამყიდველმა ლ. აჭარიძემ და № 1 მაღაზიის გამყიდველმა მ. ჩარკვიანმა მადლობა გადაიხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და შეკრებილთ აღუთქვეს, რომ განამტკიცებენ მიღწეულ წარმატებებს.

კრებაზე „თბილისქსოვილვაჭრობისა“ და პროფკავშირთა გაერთიანებული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა № 2 მაღაზიის კოლექტივს. (საქდესი).

სამტრედია. (საკ. კორ.). № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი გ. ჩოგოვაძე) მუშაკებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება 120 პროცენტით გაანაღდეს, სახელმწიფოს მისცეს 14.100 მანეთის ზეგეგმითი მოგება.

ამ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მათ ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მაღალი ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით მოწყობილ საზეიმო შეკრებაზე კოლონის კოლექტივს წარმატება მიულოცა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა შ. თათარაშვილმა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ

**1968 წლის 5 ივნისს მოწვეულია**

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-11 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეექვსე სესია**

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 11 საათიდან.

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## პარტიული ცხოვრება

# თაობათა დიდებული ესტაფეტა

### პროპაგანდისტის ერთი საუბრის კვალდაკვალ

ლაპარაკობს პროპაგანდისტი ალექსანდრე რეხვიაშვილი.
— 1944 წლის აგვისტოში ბატარეამ, რომელშიც მსახურობდა ვაჟონების ჩვენი მოწინავე მსინჯველი, ამჟამად გამოული გიორგი თევდორეს-ძე სურამელაშვილი, საცეცხლე პოზიცია დაიკავა პოლონეთის ერთ-ერთ რაიონში...

...

— განა ეს არ არის თაობათა ესტაფეტა, ცხოვრების ჩვენი...

ვ. მაისურაძე.

## ოფიციალური ცნობები

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა...

1968 წლის იანვრისათვის საკოლმეურნეო პენსიას მიიღებდა რიცხვში 240 ათასი მიაღწია, ხოლო 13.567 კოლმეურნე ქალმა შარშან მიიღო დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო.

...

(საქინფორმი).

### „ინტერბიტმაშ-68", გარიგებანი, კონტრაქტები

მოსკოვის „სოკოლნიკის" პარკში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე „ინტერბიტმაშ-68" სრულიად სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებმა უკვე ასზე მეტი კონტრაქტი დადეს უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ფირმებთან...

(საქინფორმის კორ.).

## აგრონომი გვირჩევს

# დავძლიოთ ჩამორჩენა მეთამბაქოობაში

საქართველოში გავრცელებულ ძვირფას ტექნიკურ კულტურათა შორის თამბაქოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენი თამბაქო გამოირჩევა შესანიშნავი გემოთი და არომატული ღირსებებით...

...

დ. ჯოჯუა,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თამბაქოს სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.



ნაყოფიერად შრომობს მიმდინარე წელს ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი. საფეხსაცმლის სეზონისათვის აქ აითვისეს ფეხსაცმლის ჩვიდმეტი ახალი მოდელი. წლის ბოლომდე ქუთაისელი მეფეხსაცმლეები კიდევ ოც ახალ მოდელს აითვისებენ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ კომბინატის მუშას, კომკავშირელ ნ. დადუნაშვილს, რომელიც დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო გ. გერსამიასი.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დედაქალაქს — საკადრისი მომსახურება

ადამიანზე ზრუნვა, მისი მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოღვაწეობის მთავარი მიზანია. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია საზოგადოებრივი კვება.

...

ი. გოკერია,
თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს უფროსი.

# საზრუნავი ივნისში

### სოფლის მეურნეობის მუშაკის სამახსოვრო

მარცვლეული. ყანამ წამოიზია, დაიმუხლა. თუ კარგი ამინდი დაიჭირა, თვის ბოლოს აქა-იქ ყანაც გაიჭრება...

...







# საერთაშორისო ცხოვრება

## მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

### ცეცხლი დაუშინეს თავისიანებს

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტიდ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი გვატყობინებს, სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სამხედრო სარდლობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ვერტმფრენიდან „შეცდომით ჩამოგდებული რაკეტა ქლაქის პოლიციის სამმართველოს მოხვდა. დაიხოცა მარიონეტული არმიის იქვსი მაღალი თანამდებობის ოფიცერი, მათ შორის საიგონის პოლიციის უფროსი, შოლონის რაიონის პოლიციის უფროსი და საიგონის მერის მოადგილე. გარდა ამისა, დაიჭრნენ სამხრეთ ვიეტნამის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და საიგონის მერი.

### ისრაელის მორიგი პროვოკაცია

ლონდონი, 3 ივნისი. (საკდესი). იორდანიის არმიის წარმომადგენელმა ისრაელს ბრალად დასდო ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ახალი დარღვევა. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელის ჯარებმა გუშინ ავტომატის ცეცხლი დაუშინეს მინდვრად მომუშავე იორდანიელ გლეხებს მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში. იორდანიის ჯარებმა საპასუხო ცეცხლი დაუშინეს. სროლის შედეგად იორდანიის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

## საფრანგეთი: მდგომარეობა კვლავ დაძაბულია

### შრომის საყოველთაო კონფედერაციის განცხადება

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალურმა ბიურომ გუშინ აქ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ მთელ რიგ დარგებში პროფკავშირთა, მეწარმეთა და მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკებას მოსდევს გარკვეული შედეგები. ამ დროს კი სხვა დარგებში შეიმჩნევა მისწრაფება გააჭიანურონ მოლაპარაკება და არ დააკმაყოფილონ მუშათა და მოსამსახურეთა კანონიერი მოთხოვნები. განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია ტრანსპორტის სამინისტროს „გაჭიანურებისა და შეუწყნარებლად შემზღუდველი პოზიცია“ რკინიგზელებთან და პარიზის ხაქალაქო ტრანსპორტის მოსამსახურეებთან მოლაპარაკებაში. კერძო პირთა გამგებლობაში მყოფი მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა მეტალურგიული, სამშენებლო, რეზინის, ქიმიური მრეწველობა, აღნიშნავს შრომის საყოველთაო კონფედერაცია, „მეწარმეთა ორგანიზაციები შეუძლებელს ხდიან სერიოზულ მოლაპარაკებას“.

„შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალური ბიურო ამხილებს მეწარმე-პროვოკატორთა ამ ჯგუფს. იგი მთელ პასუხისმგებლობას გაფიცვის განგრძობისათვის აკისრებს მრეწველობის ამ დარგებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია ამხილებს მთავრობის ცდებს, განახორციელოს დისკრიმინაციული პოლიტიკა ზოგიერთი კატეგორიის მშრომელთა მიმართ, აგრეთვე მხარი დაუჭიროს მეწარმეებს, რომლებსაც სურთ აწარმოონ მოლაპარაკება არსებულ საკითხებზე.

მუშაობა, აღნიშნულია განცხადებაში, წესიერად განახლდება იქ, სადაც მოთხოვნები საკმაოდ დაკმაყოფილებული იქნება და მუშები კოლექტიურად მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია მოუწოდებს იმ საწარმოთა და მრეწველობის დარგების მშრომელებს, რომელთა მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს, განაგრძონ გაფიცვები და გააძლიერონ ბრძოლა. შრომის საყოველთაო კონფედერაცია აცხადებს, რომ განზრახული აქვს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მატერიალური დახმარება გაუწიოს იმ საწარმოთა მშრომელებს, სადაც მუშები იძულებული არიან განაგრძონ ბრძოლა „მფლობელთა მიზეზით, რომლებსაც უკანასკნელმა ამბებმა ჭკუა ვერ ასწავლეს“.

### ერთობლივი მოთხოვნები

პარიზი, 2 ივნისი. (საკდესი). „ფართო მოძრაობა, რომელშიც მშრომელები, მასწავლებლები, სტუდენტები და გლეხები ჩაებნენ, მოწმობს, რამდენ მნიშვნელოვანი და გადაუდებელია მათი ეკონომიური და სოციალური მოთხოვნები, მოწმობს მხურვალე მისწრაფებას დემოკრატიისადმი“, — ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

ერთობლივი განცხადების მიზანია, აღნიშნულია ამ დოკუმენტში, დააზუსტონ და შეავსონ საფრანგეთის კომპარტიისა და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის 1968 წლის 24 თებერვლის შეთანხმება სოციალურ-ეკონომიური დარგის საკითხებში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ძალებმა, რომლებიც ისწრაფვიან ერთობლივად განახორციელონ დი გოლის ძალაუფლების დემოკრატიული შეცვლა, უნდა გაითვალისწინონ პირველ ეტაპზე მთელი რიგი ეკონომიური და სოციალური ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელება და იმ ღრმა სტრუქტურული რეფორმების თანდათანობით განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას და გარკვეული ეტაპი იქნება სოციალიზმის გზაზე“.

განცხადებაში, რომელშიც დადასტურებულია, რომ ორივე ორგანიზაცია ერთნაირად აფასებს ეკონომიური განვითარებისა და სოციალური პროგრესის ახლანდელ მდგომარეობასა და გეგმას, საფრანგეთის კომპარტია და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაცია მოითხოვენ მინიმალური ხელფასის გადიდებას 600 ფრანკამდე თვეში, სამუშაო კვირის ხანგრძლიობის შემცირებას 40 საათამდე ხელფასის დაუკლებლად, თანაბარი შრომისათვის თანაბარ ანაზღაურებას და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ნაწილობრივი და სრული უმუშევრობის წინააღმდეგ, რომელმაც 500 ათასამდე ფრანგი მშრომელი მოიცვა.

განცხადებაში დასახულია აგრეთვე ვრცელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ძირეულ გარდაქმნებს სოფლის მეურნეობის, ეროვნული განათლების, საბინაო მშენებლობის, მეცნიერული კვლევის დარგში.

### იზრდება გაფიცულთა რიგები

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტის 15.000 მშრომელი შევიდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირთა რიგებში.

ამ ბოლო დღეებში, როცა საფრანგეთის მუშათა კლასი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის იბრძვის, როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, შრომის საყოველთაო კონფედერაციის რიგები იზრდება.

ცნობები ამის შესახებ მოდის ქვეყნის სხვა რაიონებიდანაც.

11.700 კაცი შევიდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირთა რიგებში სენა-სენდენის დეპარტამენტში, 5.000 — ივლინის დეპარტამენტში, 4.000 — გარისა და სხვა დეპარტამენტებში.

## ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 3 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 20 მაისს ღამით იერიში მიიტანეს ამერიკის ჯარების პოზიციებზე ჰიუესთან (თხიათხიენის პროვინცია). არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ამერიკის ჯავშანსატანკო პოლკის საყრდენ პუნქტს დონგტაში, ამერიკის 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის შტაბს, ამერიკა-საიგონის ჯარების სამხედრო ბაზას ფუბაისთან და სხვა სამხედრო ობიექტებს.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სააგენტო განთავისუფლებას, იუწყება, რომ ამ ბრძოლის დროს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 1650 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, მოსპეს მოწინააღმდეგის 120 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

სულ ამ რაიონში შვიდი დღის ბრძოლების დროს 17-დან 23 მაისამდე, იუწყება სააგენტო, განთავისუფლების ძალების მებრძოლებმა დახოცეს, დაჭრეს და ტყვედ წაასხეს 190-მდე ამერიკელი ჯარისკაცი, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 170 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, ჩამოაგდეს 20 ვერტმფრენი.

გააფთრებული ბრძოლები განთავისუფლების ძალების ნაწილებსა და ამერიკა-საიგონის ჯარებს შორის გრძელდებოდა 30 და 31 მაისს ქჰესანთან.

ოცი დღის ბრძოლების დროს ქჰესანთან მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 365 ამერიკელი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს 1 ამერიკული თვითმფრინავი და მოსპეს რამდენიმე ტანკი.

## შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ

### ბულგარეთი

სოფია. დანაშაული დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ძირითად სამოქალაქო და დემოკრატიულ თავისუფლებათა წინააღმდეგ, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ — ასე უწოდებს დღეს გაზეთი „ტრუდი“ ბუნდესტაგის მიერ საგანგებო კანონების მიღებას.

საგანგებო კანონმდებლობა, აღნიშნავს „ტრუდი“ სარედაქციო სტატიაში, გზას უხსნის სამხედრო დიქტატურას დასავლეთ გერმანიაში, სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების სრულ ძალაუფლებას, რომლებმაც ერთ დროს ჰიტლერიზმი გააბატონეს და მეორე მსოფლიო ომი გააჩაღეს.

გაზეთი „ტრუდი“ წერს, რომ ევროპის ხალხები, მათ შორის ბულგარელი ხალხი, არავის არ მისცემენ ნებას საფრთხე შეუქმნან მათ უშიშროებას და მშვიდობიან შრომას.

### პოლონეთი

ვარშავა. პოლონეთის პრესა ფართოდ განმარტავს საგანგებო კანონების მიღებას ბუნდესტაგში. მილიტარისტული და რევანშისტული ძალების შემდგომი ზრდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, წერს „ტრიბუნა ლუდუ“, ეწინააღმდეგება ევროპის უშიშროებას. საგანგებო კანონები გზას უკაფავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე აგრესიულ ძალებს, რომლებიც ისწრაფვიან აღორძინონ დიდმპყრობელური გერმანია. ეს კანონები მიმართულია ევროპის უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის წინააღმდეგ.



დასავლეთგერმანული მეტამორფოზა.

ნახ. გაზეთ „ტრიბუნიდან“.

### რუმინეთი

ბუქარესტი. რუმინეთის საზოგადოებრივ აზრს დიდად აწუხებს მოვლენები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ გაძლიერდა უკიდურესად მემარჯვენე მილიტარისტულ და რევანშისტულ მიმდინარეობათა საქმიანობა დასავლეთ გერმანიაში, გმობს და პროტესტს აცხადებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საგანგებო კანონმდებლობის მიღების გამო, წერს დღეს რუმინული გაზეთი „სკინტეია“.

რუმინელი ხალხი, ნათქვამია სტატიაში, რომლის სათაურია „გერმანელი ხალხის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესების საწინააღმდეგო აქტი“, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს პროგრესული ძალების ბრძოლას და მხარს უჭერს მათ ბრძოლას მოსახლეობის ძირითადი უფლებების შეზღუდვის ტენდენციის წინააღმდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად გერმანელი ხალხის, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. (საკდესი).

## მხოლოდ ფაქტები

● ნიუ-იორკი, 1 ივნისი. (საკდესი). 18 ქვეყნის კომიტეტის თანათავმჯდომარეებმა გუშინ გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში შეიტანეს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დაზუსტებული და შევსებული პროექტი, რის შემდეგაც კომიტეტმა განაგრძო გაუვრცელებლობის საკითხის განხილვა.

● ჰანოი, 3 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის [illegible] ბატალიონსა და განთავისუფლების ძალების ქვედანაყოფებს შორის კუანჩის ჩრდილოეთ ნაწილში. არასრული მონაცემებით, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს, ამ ბრძოლაში მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 200 ჯარისკაცი.

● ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). აქ დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს 44-ე სესია, რომელმაც განიხილა რეკომენდაციები და რეზოლუციათა პროექტები რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის ლიკვიდაციის და სამხედრო დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია, როგორც უხეში დარღვევა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებებისა, ნაციზმი, რასიზმი, აპარტეიდი და მათი ანალოგიური პრაქტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს რასობრივი შეუწყნარებლობა და ტერორი, მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ.

## დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პლენუმი

პრაღა, 2 ივნისი (საკდესი). აქ გუშინ დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის შემდგომი ამოცანები, ანგარიშები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიების საქმიანობის შედეგების შესახებ, წინადადებანი პარტიული რეაბილიტაციის შესახებ და პარტიის ბიუჯეტი.

მთავარი მოხსენება პლენუმზე გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა.

ა. დუბჩეკის მოხსენების გამო ფართო დისკუსია გაიმართა. პლენუმმა მიიღო რეზოლუცია „თანამედროვე მდგომარეობისა და პარტიის შემდგომი მოქმედების შესახებ“, მოიწონა „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება პარტიის წევრებისა და მთელი ხალხისადმი“ აქტიურად ითანამშრომლონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის, მიიღო გადაწყვეტილება პარტიის საგანგებო მე-14 ყრილობის მოწვევისა და ყრილობის მომზადების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოსამართლებრივ წყობილების შესახებ.

პლენუმმა გამოიყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ა. ნოვოტნი, გაათავისუფლა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის პოსტიდან მ. ვაცულიკი და ამ პოსტზე აირჩია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. შიმონი. პლენუმმა აირჩია აგრეთვე ზ. მლინარჟა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრად არჩეულია ე. ერბანი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგ ცნობად მიიღო, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის პოსტებზე უარი თქვეს რ. ცვიკამ და ბ. ლომსკიმ და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის პოსტზე — ვ. შკოდამ.

შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრსა და მდივანს ზ. მლინარჟს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იურიდიული კომისიის ხელმძღვანელობა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური კომისიის ხელმძღვანელობა დაავალა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის მდივანს ი. ლენარტს.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა. მან სიტყვა მიუძღვნა პარტიის მნიშვნელოვან ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე, უწინარეს ყოვლისა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საგანგებო მე-14 ყრილობის მომზადებას. ეს ყრილობა ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოიწვიოს 1968 წლის 9 სექტემბერს.

## იაპონური ქრონიკები

### ● პირველი ცათამბჯენი

1964 წლამდე იაპონიის კანონები კრძალავდა 31 მეტრზე მაღალი შენობის აგებას. ეს შეზღუდვა აიხსნებოდა იმით, რომ კუნძულები, რომლებზეც ეს ქვეყანაა გაშენებული, მაღალი სეისმური და ვულკანური აქტიურობით ხასიათდებოდა. ამიტომ იაპონიის ყველა ქალაქში სახლების 70 პროცენტი ერთ ან სამსართულიანია. გამონაკლისს შეადგენენ მსხვილი სამრეწველო ცენტრები.

და აი ახლახან იაპონიაში აიგო პირველი ცათამბჯენი. იგი ააშენეს ტოკიოს ცენტრში კასუმიგასეკის რაიონში. სიმაღლე ამ შენობისა, რომელიც მიცუის კომპანიას ეკუთვნის, 147 მეტრია. მასში 36 მიწისზედა და სამი მიწისქვეშა სართულია. ცათამბჯენი სამ წელიწადს შენდებოდა და 18 მილიარდი იენი (50 მილიონი დოლარი) დაჯდა. მანამდე ტოკიოში ყველაზე მაღალი შენობა იყო 17-სართულიანი 70 მეტრი სიმაღლის სასტუმრო „ნიუ ოტანი“, რომელიც მე-18 ოლიმპიური თამაშებისათვის აიგო.

ტოკიოს ცათამბჯენში მოთავსდება 60-მდე სავაჭრო და სამრეწველო კომპანია, რომლებშიც 12 ათასი მოსამსახურე მუშაობს.

### გადაუნერგეს... მაიმუნის კბილი

იშვიათი ოპერაცია გააკეთა იაპონელმა ექიმმა ტოსიო იამანემ. ერთ-ერთი კომპანიის მოსამსახურეს, რომელსაც წინა კბილი ჩატეხილი ჰქონდა, მან გადაუნერგა მაიმუნის კბილი. კბილი კარგად შეხორცდა და, როგორც ექიმები თვლიან, მის ახალ პატრონს შესანიშნავად მოემსახურება ორ-სამ წელიწადს.

მაიმუნის კბილის ერთადერთი მფლობელი მთელ იაპონიაში 22 წლის იოსინური სიოია კმაყოფილია. გატეხილი კბილი ახლა არ უშლის ხელს ლაპარაკში და არ უმახინჯებს ღიმილს. მტაცებელი ცხოველის კბილი რომ იყოს, უფრო ძნელი იქნებოდაო, ხუმრობით ამბობს სიოია.

(საკდესი).

## უცხოეთის პრესის ფურცლებზე

# რით არის მდიდარი ამერიკა?

### „მშიერი ამერიკელები“

ასეთი სათაურით ინდურმა ჟურნალმა „ბლიტცმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მოგვითხრობს ამერიკის ღატაკი მოსახლეობის მდგომარეობაზე.

„ამერიკაში, ამ სამოთხეში, სადაც საშუალოდ ერთ ოჯახზე სამი ავტომობილი მოდის, ადგილი არ არის 34 მილიონი ღატაკი ამერიკელისათვის. ამერიკა ვერც სამუშაოს აძლევს მათ, ვერც საჭმელს, ვერც განათლებას. ნიუ-იორკში 400 ათასი კაცი ყოველდღე რიგში დგება უფასო სადილის მისაღებად, ყოველდღე ოთხი ამერიკელი კვდება შიმშილისაგან“.

„წარმოიდგინეთ ბავშვები, რომლებისთვისაც ერთადერთი საჭმელია უფასო საუზმე სკოლაში. ისინი მშიერი იძინებენ და მშიერი დგებიან. მათ არასოდეს არა ჰქონიათ სათამაშოები. წარმოიდგინეთ ქალები, რომლებიც 40 წლისანი 70 წლისას ჰგვანან, და მამაკაცები, რომლებსაც დაავიწყდათ, რა არის ხელფასი“, — ამბობს ავტორი, რომელმაც აპალაჩის მთების რაიონი ინახულა. „ამერიკის ეფექტური სიმბოლოები — ჰოლივუდი, ბროდვეი და მაიამი ისევე შორს არის აპალაჩიდან, როგორც სხვა პლანეტები“.

რაიონი, რომელშიც იყო და რომელზეც მოგვითხრობს ინდოელი ჟურნალისტი, არ შეიძლება ამერიკაში საერთო წესიდან ტრაგიკულ გამონაკლისად მივიჩნიოთ. ამერიკის გაზეთ „უორკერის“ მიმომხილველი ანალიზს უკეთებს მოხსენებას, ამ დღეებში რომ გამოაქვეყნა საზოგადოებრივმა კომისიამ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შიმშილობის მიზეზებს იკვლევს. კომისიაში შედის სოციალური და ეკონომიური საკითხების 25 თვალსაჩინო სპეციალისტი. მოხსენებას დართული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების დამშეული ოლქების რუკა, რომლიდანაც ჩანს, რომ ასეთი ოლქები თითქმის ყველა შტატშია. მაგრამ სამხრეთი შტატები, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი, — მთლიანი „შიმშილობის სარტყელია“. სამხრეთში ზანგთა ოჯახების გაჭირვება იქამდე მიდის, რომ ბევრი მათგანი საჭმელად ხმარობს თეთრეულის სახამებელს და თიხას“. „ნაჭარბი სურსათის“ მთავრობის პროგრამამ დაამტკიცა, რომ იგი უძლურია გადაჭრას ამ ქვეყანაში შიმშილის პრობლემა. თუმცა ეს „ნაჭარბი“ დამშეულთა შორის შემცირებულ ფასებში ვრცელდება, მაგრამ ისიც მიუწვდომელია ღარიბებისათვის.

არასაკმაო კვების მსხვერპლნი პირველ რიგში ბავშვები ხდებიან. ამის შედეგად ფიზიკურად და გონებრივად არასრულფასოვან ბავშვთა რიცხვმა ამერიკის შეერთებულ შტატებში სარეკორდო ციფრს მიაღწია.

ამავე დროს კომპანიების მოგება კვლავ იზრდება. მაგალითად, ამერიკის ფოლადსამსხმელო კონცერნების შემოსავალი გასულ წელს ორმოცი პროცენტით გადიდდა, ხოლო შემოსავალი „კრაისლერის“ კომპანიისა, რომელიც ავტომობილებსა და საჭურველს აწარმოებს, ერთ წელიწადში 280 პროცენტით გაიზარდა.

### ჯონსონი და დანაშაულებრივი სამყარო

შენიშვნამ, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალ „რემპარტსში“, მრავალი გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოში. შენიშვნაში ლაპარაკია მჭიდრო ურთიერთობაზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჰქონდა დანაშაულებრივ სამყაროსთან ჯერ კიდევ მაშინ, როცა სენატორი იყო ტეხასის შტატიდან. შენიშვნის ავტორს საჭიროდ მიაჩნია, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება განგსტერებთან ჯონსონის კავშირის საკითხზე. მისი სიტყვით, ახლანდელმა პრეზიდენტმა თავის დროზე მნიშვნელოვანი თანხა მიიღო „დამნაშავეთა სინდიკატისაგან“, რომელსაც სათავეში იდგა განგსტერი ჯეკ ჰალფენი. ეს დამნაშავე დაეხმარა ჯონსონს მის შემდგომ პოლიტიკურ კარიერაში და სამაგიეროდ ჯონსონიც მას სხვადასხვა სამსახურს უწევდა. 1966 წელს ჰალფენი ვადამდე გაათავისუფლეს საპყრობილედან. სავსებით შესაძლებელია, რომ მას აქვს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ჯონსონის დანაშაულებრივ კავშირს განგსტერებთან.

### დოლარი არჩევს... მშვიდობას

„ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია შეამსუბუქოს ვაშინგტონის მწვავე სოციალური და ეკონომიური პრობლემების გადაჭრა, ახლა შეიძლება მიღებულ იქნას პარიზში“, წერს ცნობილი ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალის „ნუველ ობსერვატერის“ მიმომხილველი ჟაკ მორნანი. მაშინ როცა პრეზიდენტ ჯონსონის პოლიტიკური მრჩევლები — სახელმწიფო მდივანი დინ რასკი და უოლტ როსტოუ ურჩევენ მას ყოველნაირად გააჭიანუროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება საფრანგეთის დედაქალაქში, მისი ფინანსისტები პრეზიდენტთან დაახლოებულ პირთაგან ვიეტნამში მშვიდობის მომხრეთა როლში გამოდიან.

ეს ფაქტი სრულებითაც არ აიხსნება თეთრი სახლის გონებრივი ფინანსური ტრესტის წევრთა შეხედულებების პროგრესულობით ან მათი ჰუმანიზმით. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ზავი უახლოეს ხანში არ დაიდო, დოლარზე შეტევა იმდენად ძლიერი გახდება, რომ შეიძლება მისი სრული ლიკვიდაცია გამოიწვიოს.

ფრანგულ ჟურნალს მოჰყავს ამერიკული ბიზნესის უდიდესი მესვეურის ჯ. როკფელერის მიერ გამოთქმული აზრი დოლარის დეფიციტის თაობაზე: „თუმცა კონგრესმა ხმა მისცა, როგორც მას სთხოვეს, გადასახადების ათი პროცენტით გადიდებას, ეს შესაძლებელს როდი გახდის დეფიციტის შევსებას, არამედ მხოლოდ შეამსუბუქებს მას“. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეძლო მიეღო ყოფილი „ოქროს ფულის“ მონაწილე ქვეყნებისაგან თანხმობა, რომ არ გადაცვალონ დოლარები ოქროზე. მაგრამ კაპიტალისტური სამყაროს ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმაც ასეთი ვალდებულება არ მისცა. მათ შეუძლიათ მოსთხოვონ ვაშინგტონს ოქრო თავიანთი დოლარების ნაცვლად, ხოლო იმ ქვეყნებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ძალიან ადვილად შეუძლიათ გააკეთონ ეს იმ ქვეყნის მეშვეობით, რომელიც ამ ორგანიზაციაში არ შედის.

ამერიკის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა შეიძლება ყოველ წუთს გამოიწვიოს ახალი აზვირთება უნდობლობისა დოლარის მიმართ, რომელსაც მაშინ მნიშვნელოვანი რაოდენობით გადაცვლიან უფრო მყარ ვალუტაზე, მაგალითად, შვეიცარიულ ფრანკზე, მარკაზე, ფრანგულ ფრანკზე, ისევე როგორც თავისუფალი ბაზრის ოქროზე.

მხოლოდ ვიეტნამში ზავის უსწრაფესად დადება ვიეტნამის მთავრობის დელეგაციასთან პარიზში წარმატებით მოლაპარაკების გზით შეიძლება დამაჯერებელი გარანტია გახდეს კაპიტალისტურ სამყაროში დოლარების მფლობელთათვის და აღადგინოს ის წონასწორობა, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, ისე მსოფლიო ბაზარზე.

გ. ვაჩნაძე.

## კატასტროფა ფუკუოკაში

ტოკიო, 3 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი გვატყობინებს:

დაღუნული ლითონის კონსტრუქციები, დამსხვრეული მანქანები, ცეცხლისაგან მბოლავი კედლები — ასე გამოიყურებოდა დღეს დილით ქალაქ ფუკუოკის კიუსიუს უნივერსიტეტის მშენებარე ელექტრონულ გამოთვლითი ცენტრი, რომლის შენობაში გუშინ გვიან ღამით შეიჭრა იტაძუკეს ბაზიდან ამერიკის რეაქტიული ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი „4 ფანტომი“. ცენტრის სამი სართული მთლიანად დაინგრა. მსხვერპლი არ არის, რადგან ცენტრის შენობაში არ ყოფილა არც ერთი მუშა, ორი ამერიკელი პილოტი კი პარაშუტით გადმოხტა, თუმცა თვითმფრინავი ქალაქის თავზე მიფრინავდა.

ამერიკის თვითმფრინავის ჩამოვარდნამ ქალაქის ფარგლებში განლაგებულ შენობაზე და მისმა დანგრევამ იაპონიის მოსახლეობის დიდი შეშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია.

## სსრ კავშირი—ინდოეთს



### მეგობრის დახმარება

ინდოეთის ქალაქ ჰარდვარში (უტარ-პრადეშის შტატი) საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდება მძიმე ელექტრომანქანათმშენებლობის დიდი ქარხანა. ქარხნის პროექტი შემუშავებულია საბჭოთა კონსტრუქტორებისა და ინჟინრების მიერ. საწარმო აღჭურვილი იქნება საბჭოთა მოწყობილობით, საბჭოთა სპეციალისტები დიდ დახმარებას გაუწევენ თავიანთ ინდოელ მეგობრებს ქარხნის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, აგრეთვე ტექნიკური კადრების მომზადებაში.

ჰარდვარის ქარხანა ასეთი ტიპის ყველაზე დიდი საწარმო იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში. იგი გამოუშვებს 50 ათასიდან 200 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინებს, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1,5 მილიონი კილოვატი წელიწადში, და 25 ათასიდან 100 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის ჰიდროტურბინებსა და გენერატორებს, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1,2 მილიონი კილოვატი წელიწადში. გარდა ამისა, ქარხანა გამოუშვებს საშუალო და მსხვილ (9 ათას კილოვატამდე სიმძლავრის) ელექტრომოტორებს მრეწველობისათვის.

ნავარაუდევია, რომ ქარხანა სრული სიმძლავრით ამუშავდება 1971-72 წელს.

სურათზე: ჰარდვარის მძიმე ელექტრომოწყობილობის ქარხნის საერთო ხედი.

ფოტო ი. აბრამოჩკინისა, ახალი ამბების სააგენტო.

## კვლავაც გაგვახარებს

ვერიკო ანჯაფარიძეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. ჩვენი საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ამ თარიღს. ვერიკო ანჯაფარიძე ეკუთვნის ჩვენი თეატრალური მოღვაწეების იმ ღირსეულ თაობას, რომელსაც წილად ხვდა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიეღო ჩვენი თეატრის აღორძინების საქმეში...

მისი სამსახიობო ამპლიტუდა მეტად ფართოა, ხოლო მხატვრული პალიტრა — მდიდარი და მრავალფეროვანი. მანერა მისი აქტიორული შემოქმედებისა ძალიან ორიგინალური და განუმეორებელია. ამაშია მაყურებელზე მისი ზემოქმედების ძალა. ყოველი მის მიერ შექმნილი სახე თავისებურია, მხოლოდ მისია, და ამიტომაც სამუდამოდ რჩება მაყურებლის მეხსიერებაში.

ვერიკოს დამახასიათებელი შემოქმედებითი თვისებაა მუდამ ახლის ძიება, მუდმივ განვითარების პროცესში ყოფნა, რაც მისი მხატვრული გამარჯვებების უტყუარი საწინდარია, ისევე, როგორც ბედნიერი შერწყმა ბუნებრივი ნიჭის და შრომით მოპოვებული ჭეშმარიტი არტისტიზმისა, რაც ვირტუოზობამდე აღწევს.

ჩემთვის პირადად დაუვიწყარია ვერიკო ანჯაფარიძესთან შემოქმედებითი თანამოღვაწეობა. გარდა იმისა, რომ ვერიკო ყველა სპექტაკლში მაღალი პასუხისმგებლობით განასახიერებდა მისთვის განკუთვნილ როლებს, იგი მუდამ იჩენდა გულისხმიერებასა და მეგობრულ ყურადღებას თავისი ახალგაზრდა კოლეგა-რეჟისორის მიმართ.

და აი გავიდა სცენური მოღვაწეობის ნახევარი საუკუნე... ვერიკო ანჯაფარიძე ჩვეული ენერგიით განაგრძობს თავისი ცხოვრების დიდ შემოქმედებით საქმეს, აღსავსეა ენთუზიაზმით, მონდომებითა და ხალისით.

მას დასახული აქვს მრავალი შემოქმედებითი, პერსპექტიული გეგმა. ჩვენ გვჯერა, რომ ის კვლავაც ბევრ ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰგვრის მისი ნიჭის პატივისმცემელთ.

**დოდო ანთაძე,**
საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

## ხალხის სიყვარულის წყარო

ყველა ეპოქას თავისი საყვარელი და განუმეორებელი მსახიობი ჰყავს. ეს სიყვარული ექოსავით გადადის თაობიდან თაობაში და ბოლოს ლეგენდად იქცევა. ასე არის მას შემდეგ, რაც პირველად დაირწა აკვანი კულტურისა ძველ საბერძნეთში. ასე მოხდა იტალიაში, როცა წარმოიშვა „კომედია დელარტეს" სანახაობა.

ეს ტრადიცია გაჰყვა ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთისა და რუსეთის თეატრებს, უფრო სწორად, ეს სიყვარული მსახიობისა სცენიურ სანახაობასთან სიტყვისა და გრძნობის განუყოფელი ნაწილი გახდა. სცენაზე სიტყვა გულსჩამწვდომი გრძნობაა, ხოლო ამ სიტყვის მთქმელი — ხალხის საყვარელი ქურუმი...

ჩვენ ვიგონებთ ქართული სცენის ბრწყინვალე პლეადას: ლადო მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, ალექსანდრე იმედაშვილს, ნინო ჩხეიძეს და გული სიამაყით გვევსება.

მომდევნო თაობა უკვე ჩვენი დროის პირმშოა. მისი გამარჯვება ქართული საბჭოთა თეატრის გამარჯვება და ზეიმია. ამ თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლის და განუმეორებელი ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი ნამდვილად ქართული თეატრის ზეიმია. ქართული საბჭოთა თეატრი და ვერიკო ტოლები არიან. ჩვენი თეატრის ყველა შემოქმედებითი გზაჯვარედინი ვერიკოსთან არის დაკავშირებული.

ახალი გზების ძიება სამსახიობო სარბიელზე, სადაც თითქმის ყველა ხერხი ნახმარია და ყველა საღებავი ნაცადი, ძალიან ძნელი და ძალიან მძიმე ტვირთია ნახევარ საუკუნეში გადაზიდული მანძილისათვის.

ამიტომ ვთქვი, განუმეორებელი ვერიკო-მეთქი. სწორედ აშია მისი ძლიერება და მაყურებლის სიყვარულის წყაროც. დღეს ვერიკოს არც ეპითეტები სჭირდება და არც წოდებები. ყველაზე დიდი წოდება საქართველოში, და მგონი მხოლოდ საქართველოში, გვარმოშორებული სახელია. ვერიკო ანჯაფარიძე უკვე ოფიციალური კილოა ჩვენთვის და ამაშია ჩვენი საყვარელი მსახიობის გამარჯვება. ვერიკო ქართული სიტყვის დიდი მეგობარია, ამ სიტყვის გამოთქმის თავისებური კილოთი და ეროვნული ინტონაციით, ისე როგორც ქართული ფრესკა, ისე როგორც გუდიაშვილის ყალმით მონახაზი ირმის ნახტომი. ქართული სცენის ამ ჯადოქარი ოსტატისაგან ჩვენ კიდევ ველით ახალ სიტყვას.

**მიხეილ მრევლიშვილი.**

## ფოტომოყვარული გვთავაზობს







სამი თაობა

ფოტოეტიუდი მ. დათიკაშვილისა.

## სსრ კავშირის თასი

დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები ფეხბურთში. „ა" კლასის მეორე ჯგუფისა და „ბ" კლასის გუნდებიდან პრიზისათვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ 12 უძლიერესი კოლექტივი შერჩა.

პირველ ქვეჯგუფში წარმატება ხვდათ კიევის სკა-ს, „მოლდოვასა" და ლენინგრადის „დინამოს". მეთექვსმეტედფინალში კიეველი ფეხბურთელები საკუთარ მოედანზე შეხვდებიან კიროვაბადის „დინამოს". „მოლდოვას" მატჩი ექნება მინსკის „დინამოსთან", ლენინგრადის დინამოელები კი ითამაშებენ დონეცკის „შახტიორთან".

მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულნი — „ყუბანი", „სოკოლი" და სუმის „სპარტაკი" ითამაშებენ მოსკოვის „დინამოსთან", „არარატთან" და „კაირატთან".

მესამე ქვეჯგუფიდან თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობას მიიღებენ უფის „სტროიტელი", „ურალმაში" და ვოლგოგრადის „ტრაქტორი". მეთექვსმეტედფინალში ისინი შეხვდებიან „ნეფტჩის", „ჩერნომორეცსა" და „პახტაკორს".

მეოთხე ქვეჯგუფიდან მეთექვსმეტედფინალში გამოვლენ ფერგანის „ნეფტიანიკი", „კუზბასი" და აშხაბადის „სტროიტელი". მათ მატჩები ექნებათ მოსკოვის „ტორპედოსთან", „ზენიტთან" და „კრილია სოვეტოვთან".

მეთექვსმეტედფინალური მატჩები შედგება 27 და 28 ივნისს.

## ჩემპიონის დამარცხება

შაბათს გვიან ღამით ჰანოვერში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა რევანში აიღეს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე მსოფლიო პირველობის ფინალში ინგლისელებთან დამარცხებისათვის. ეს მატჩი მათ მოიგეს 1:0 (0:0). ერთადერთი ბურთი ინგლისელთა კარში გაიტანა გფრ-ის ცნობილმა ფეხბურთელმა ბეკენბაუერმა.

## წინასაოლიმპიადო ტურნირები

მძლეოსნებსაც ცხარე დღეები აქვთ. ოლიმპიური ასპარეზობის წინ მიმდინარეობს ძალთა მოსინჯვა.

ასეთ ასპარეზობათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ტურნირები დნეპროპეტროვსკში, ტალინსა და კიშინიოვში.

კიშინიოვში პაექრობა ჰქონდათ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდებს. აქ ინიციატივა ხელთ იგდეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა და 436,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მასპინძლები — 401 ქულა.

## რამდენიმე სტრიქონით

● ბ. სპასკისა და ბ. ლარსენის მატჩი ჭადრაკში გაიმართება შვეციაში.

● მოსკოვში დამთავრდა წინასაოლიმპიადო დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ნიჩბოსნობაში. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც 12-დან 10 პირველი პრიზი მოიპოვეს.

● სამ დღეს გრძელდებოდა მინსკში წინასაოლიმპიადო საერთაშორისო შეჯიბრება წყალში ხტომაში. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის უძლიერესი იყო თ. პოგოჟევა. კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა იტალიელმა კ. დიბიაზიმ.

● მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატზე გათამაშდა ექვსი ტური. ლიდერი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს.

● გუშინდელი მატჩი ბათუმში თბილისის „ლოკომოტივისა" და ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

## მაღაროელები შაბათობაზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის გადაწყდა მისი გამოყვანა მდინარე ფაცხნარას სათავიდან, რომელიც ქალაქს ოცი კილომეტრით არის დაშორებული. აქ საკმაოდ რთული მთაგორიანი რელიეფია. საშენი მასალები ვერტმფრენით მიზიდეს. მილებისათვის არხების გასაჭრელად ტექნიკა ძნელად მისადგომია. ამიტომ ეს შრომატევადი სამუშაო ხელით უნდა შესრულდეს.

მაღაროელებმა არხების გასაჭრელად აქ შაბათობები მოაწყვეს. კარგად იმუშავეს დიმიტროვის, ორჯონიკიძის, კალინინის სახელობის მაღაროების მშენებლებმა. განსაკუთრებით თავდადებულად იმუშავა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. ამ მაღაროდან შაბათობაში 800 მშრომელი მონაწილეობდა.

• • •

სურათზე: მაღაროელთა ერთი ჯგუფი ბრუნდება შაბათობიდან.



## მკითხველთა კონფერენცია

წელიწადნახევარია, რაც გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა". ჟურნალმა გამოსვლის დღიდანვე მიზნად დაისახა ყოფილიყო ყოველივე ახლის მოთავე სოფლის მეურნეობაში, მხარი დაეჭირა და ფართოდ გაევრცელებინა მოწინავე გამოცდილება, გაეშუქებინა ეკონომიკისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემები, ემხილებინა რესპუბლიკის მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში არსებული ნაკლოვანებები.

როგორ ამართლებს ჟურნალი თავის დანიშნულებას? რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა" უფრო ქმედითი და მიმზიდველი გახდეს?

აი ამ საკითხებზე საუბრობდნენ შეხვედრაზე, რომელიც ჟურნალის რედაქციის კოლექტივს მოუწყეს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ი. სარიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მთავარი რედაქტორი გ. ჩაგელიშვილი.

სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები ზ. შალამბერიძე, შ. ჭანიშვილი, გ. ზხვაცაბაია, ნ. ჩხენკელი, დოცენტები ა. ნარჩომაშვილი, ქ. ბებეშიძე, ინსტიტუტის პარტკომი გ. კაპატაძე.

შ. კასრაძე,
გაზეთ „საბჭოთა აგრონომის" რედაქტორი.

## გ. თ. კუპრეიშვილი — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი თეიმურაზის-ძე კუპრეიშვილმა ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გიორგი თეიმურაზის-ძე კუპრეიშვილისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## ჭადრაკი

# დიდი კვარტეტის პრობლემა

რვა წამყვანმა გროსმაისტერმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალებში. ამ შეჯიბრების პირობები ოლიმპიური იყო — ვინ ვის? წააგებ მატჩს — „თამაშიდან ამოვარდები"!

ვინ ვის? საქმის მცოდნეებს მიაჩნდათ, რომ ბ. სპასკისთან მატჩში ე. გელერს უკეთესი შანსები ექნებოდა (ვ. კორჩნოი). მ. ტალმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ამჟერად ყოველ შემთხვევაში ერთი რამ არის ცხადი: მატჩი შეუპოვარი იქნება:

მაგრამ ჭადრაკში წინასწარმეტყველება კორჩნოისა და ტალისთვისაც კი ძნელია. სოხუმის საჭადრაკო კონფლიქტში ზუსტად განმეორდა 1965 წლის ისტორია. სპასკიმ კვლავ დაამარცხა გელერი ანგარიშით 5,5:2,5. თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ შიშველ ციფრებს 5,5:2,5, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპასკი სოხუმში მხოლოდ დასეირნობდა შავი ზღვის ნაპირებზე და საღამოთი ცოტა წაითამაშა ჭადრაკი.

არა, ასე როდი ყოფილა. იყო მეტად დაძაბული ბრძოლა სპორტული და ფსიქოლოგიური მხრივ: გადამწყვეტი მომენტი იყო მეოთხე პარტია, რომელშიც „ნორმალურად" უნდა გამარჯვებულიყო გელერის შესანიშნავ სტრატეგიას, მაგრამ ფაქტიურად გაიმარჯვა სპასკის ტაქტიკურმა ოსტატობამ და ანგარიში ნაცვლად 2:2-ისა გახდა 3:1 ბორისის სასარგებლოდ. ეს დასასრულის დასაწყისი იყო ოდესელი გროსმაისტერისათვის.

მაშ ასე, „ერთ მეტოქეს გადავურჩი" — თქვა სპასკიმ. კიდევ ორი ეტაპი, და ბ. სპასკი ხელმეორედ შეერკინება ტ. პეტროსიანს. მაგრამ სპასკი ასეთ თემაზე აშკარად ერთ სიტყვასაც არ ამბობს — ეს მისი, როგორც მოჭადრაკის, მხოლოდ ოცნებაა.

სპორტისადმი, ჭადრაკისადმი ინტერესი იუგოსლავიაში უდიდესია. იქ ხალისით აწყობენ ტურნირებს, მატჩებს. რა თქმა უნდა, ს. გლიგორიჩ-მ. ტალის ორთაბრძოლის მიმდინარეობის ნახვა იუგოსლავებს თავიანთ მიწა-წყალზე — ბელგრადში უნდოდათ. მ. ტალი ხალისით დათანხმდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა იცის, რომ იგი იუგოსლავიაში ძალიან პოპულარულია და იქ, როგორც წესი, დიდი წარმატებით გამოდის.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი იქ გახდა პრეტენდენტი 1959 წელს. ტალი შეიძლებოდა შეეკრთო დიდ სიცხეს, რომელიც ჩვეულებრივ დგას და მართლაც იდგა მაისში ბელგრადში. მაგრამ ტალს სიცხისა არ ეშინია. (ვიღაცამ გესლიანად იხუმრა, მ. ტალს მხოლოდ ერთის, — კორჩნოის ეშინიაო). ბევრს ლაპარაკობდნენ (და მართებულადაც), ტალის შედეგები მომავალში მის ჯანმრთელობაზე იქნება დამოკიდებულიო. ამ მითქმა-მოთქმამ ეჭვები აღძრა, და ამიტომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს რიგიდან გაჰყვა მისი მკურნალი ექიმი.

დიდი კმაყოფილებით ვაუწყებ თბილისელებს, რომ მატჩის დროს ტალი ერთხელაც არ გამხდარა ავად და ბელგრადიდან დაბრუნების შემდეგ თავს გრძნობს ჩინებულად, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ ექიმები: იგი პრაქტიკულად ჯანმრთელია!

მაშ რატომ იყო, რომ მიშამ მატჩის პირველივე პარტია წააგო? „ეს თითქმის უკვე ჩვეულებად გადამექცა", — ამბობს ტალი. მაგრამ შეშფოთებისათვის საკმაო მიზეზი იყო, ვინაიდან მეექვსე პარტიამდე ტალს კარგი არა გამოუდიოდა რა. იუგოსლავიაში ბრძოლის მიმდინარეობას დაწვრილებით უკითხავდნენ კომენტარს პრესაში, ტელევიზიით და ა. შ. ცნობილი იუგოსლავი გროსმაისტერები. გლიგორიჩს ბევრ რჩევას აძლევდნენ მისი მეგობარი კომენტატორები. ბევრს ეგონა, გლიგორიჩისათვის საკმარისია წარმატებით გაითამაშოს მატჩის პირველი ნახევარიო. იგი — გლიგორიჩი — ასაკით თუ უფროსია, სამაგიეროდ შესანიშნავი სპორტსმენია, ჯანმრთელი, ამტანია. პატარა, სუსტი მიშა ტალი, როგორც ამბობენ, ავადაც არის, მატჩის მეორე ნახევარში მოდუნდება და... თვითონ წააგებსო.

ეს ტაქტიკა სრულიად უნიადაგო გამოდგა. „ავადმყოფმა" ტალმა მეექვსე პარტიაში ანგარიში გაათანაბრა და ფინიში ისეთი ძალით გაითამაშა, როგორც ძალოსანმა ჟაბოტინსკიმ. ტალმა ოთხ პარტიაში 3,5 ქულა მოაგროვა.

ამბობენ, გლიგორიჩი ფინიშზე ძალიან ნერვიულობდა და ნერვულ ნიადაგზე თვითეული სვლის შემდეგ ერთ ჭიქა მინერალურ წყალს სვამდაო. მატჩი ჩინებულად იყო ორგანიზებული. რაც შეეხება მაყურებლებს, ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: როგორ მოქცეულიყვნენ? თავიანთი პატრიოტული გრძნობით გლიგორიჩის გულშემატკივარნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მეორე მხრივ მიშა ტალი ხომ იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეთა საერთო საყვარელი და სათაყვანებელია. რა ბევრი ლაპარაკი და ახსნა-განმარტება სჭირდებათ, ძვირფასო თბილისელებო? თქვენ ჩემზე უკეთ იცით, როგორ „შესტკივათ გული" ტალისათვის, ხომ მართალია?

მაშ ასე, ისევე როგორც სოხუმში, ბელგრადშიც დამარცხდა ასაკით უფროსი გროსმაისტერი: ახალგაზრდებმა სპასკიმ და ტალმა კონკურსიდან გამოიყვანეს გელერი და გლიგორიჩი (43 და 45 წლისანი).

ეს, რა თქმა უნდა, მამაკაცისათვის დიდი ასაკი არ არის, მაგრამ მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაში მოჭადრაკისათვის უკვე ცოტა დაგვიანებულია. ამიტომ იჩქარეთ, ვინც ჩემპიონად გახდომაზე ოცნებობთ.

იბადება ბუნებრივი კითხვა: რას ფიქრობდა 56 წლის ს. რეშევსკი, როცა ესოდენ ბევრი ძალა, ენერგია დახარჯა ტუნისში, ლოს-ანჯელესში, რათა ვ. კორჩნოისთან მატჩში მონაწილეობის უფლება მოეპოვებინა? რისთვის ესაჭიროებოდა ეს? 56 წლის ასაკში განა შეიძლება ოცნებობდე მსოფლიოს ჩემპიონად გახდომაზე? ამ კითხვაზე ერთი რადიოსადგური ასე უპასუხებს: ოცნება, რა თქმა უნდა, შეიძლება, თუმცა აქედან არაფერი არ გამოვა.

მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ რეშევსკი, 50 წლის (!) საჭადრაკო სტაჟის მქონე მოჭადრაკე, ახალგაზრდული მგზნებარებით ჯერ კიდევ ებრძვის ახალგაზრდა თაობას. რა თქმა უნდა, ამერიკელს არა ჰქონდა შანსები ისეთი „ავი" ხასიათის მქონე მოჭადრაკესთან, როგორიც ვ. კორჩნოია. მაგრამ რეშევსკის, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ წაუგია მატჩი, არა სჯეროდა, რომ ასე უიღბლო იქნებოდა კორჩნოისთან შეხვედრაში. ამერიკელმა, რომელმაც კორჩნოისთან შეხვედრის უფლება მოიპოვა „საყაიმო რელსებზე" ლოს-ანჯელესში (გორტთან და შტეინთან), განაცხადა, რომ არ ითამაშებდა სსრ კავშირში, პოლონეთსა ან ჩეხოსლოვაკიაში, რადგან ამ ქვეყნებში ისეთი კვებით ვერ უზრუნველყოფდნენ, როგორსაც იგი იღებს როგორც ორთოდოქსალურად მორწმუნე ებრაელი.

ვ. კორჩნოიმ უარი თქვა რეშევსკის წინადადებაზე ეთამაშა მასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში და შეთანხმდნენ ამსტერდამში შეხვედროდნენ ერთმანეთს. საინტერესოა, რომ იქ 50 წლის წინათ ს. რეშევსკიმ როგორც ვუნდერკინდმა გამართა სეანსი 30 დაფაზე, სეანსი, რომელშიც რეშევსკის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე იყო... მ. ეივე. როცა კორჩნოისთან მეორე პარტიაში რეშევსკიმ უხეშად „დაუდო" პაიკი დებიუტშივე, ამსტერდამში ამბობდნენ, ასეთ უხეშ შეცდომებს ექვსი წლის რეშევსკი არ უშვებდაო. რას იზამ: სიბერე კარგი როდია.

ვ. კორჩნოიმ საოცრად უბრალოდ, იოლად, თითქოს ხუმრობსო, დაჯლიტა რეშევსკი უკვე მერვე პარტიის შემდეგ 5,5-2,5. ამრიგად, რეშევსკიმ თავის სიცოცხლეში პირველად წააგო მატჩი. კორჩნოისათვის ეს პირველი მატჩი იყო მის პრაქტიკაში. მან ცხადყო, რომ კორჩნოი — ჩინებული სატურნირო მებრძოლი, ორთაბრძოლაშიც საუცხოოა.

გაირკვა წყვილი ნახევარფინალისათვის: კორჩნოი-ტალი! მე შერემეტიევოს აეროდრომზე ვიყავი, როცა ტალს ბელგრადიდან მოელოდნენ, ხოლო კორჩნოის ამსტერდამიდან. ბევრს ოხუნჯობდნენ, ვინც მოსკოვში უფრო ადრე მოფრინდება, მატჩს ის მოიგებსო. მაგრამ ორი თვითმფრინავი სხვადასხვა დედაქალაქიდან მოსკოვში ერთდროულად მოფრინდა და ამიტომ საკითხი — კორჩნოი თუ ტალი — ღია დარჩა.

ასე იყო თუ ისე, კორჩნოი და ტალი გააკვირვა შერემეტიევოში შეხვედრამ. იქვე და შემდეგ გზაში ქალაქისაკენ გაიმართა მოლაპარაკება მატჩის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ. კორჩნოიმ შესთავაზა ლენინგრადი, ვილნიუსი. ტალმა თქვა, მე კუნძული კიურასაო მირჩევნიაო. — „რატომ?" — გაუკვირდა ყველას. „ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მე შემეძლო დამემარცხებინა კორჩნოი ერთ პარტიაში მაინც!" — ოხუნჯობდა მიშა.

ახლა მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დიდ გაკვირვებას იწვევს, თუ რა ძნელად მიმდინარეობს მოლაპარაკება ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის. რამდენიმე თვის მოლაპარაკების შემდეგ თითქოს ტალინზე შეჩერდნენ. ახლა კი ვიგებ, რომ კუშნირი წინააღმდეგია. კორჩნოი და ტალი სრულებითაც არ ბაძავენ კუშნირს. რამდენიმე წუთში შეთანხმდნენ! შეთანხმდნენ, რომ მატჩი 25 ივნისს დაიწყონ მოსკოვში.

ამასობაში ყველანი (განსაკუთრებით სპასკი) უდიდესი ინტერესით ელოდნენ ლარსენ-პორტიშის მატჩის შედეგებს. მარტო ლარსენისათვის შედეგი ცნობილი იყო მატჩის დაწყებამდეც. უფრო მეტიც: ლარსენმა საქვეყნოდ ხმამაღლა გამოაცხადა თავისი პროგრამა: მოუგებ პორტიშს, შემდეგ „ვიღაცას" ნახევარფინალში, ხოლო ფინალში მომელის შეხვედრა (რა თქმა უნდა, ძლევამოსილი) ტალთან, რის შემდეგაც ტ. პეტროსიანთან მატჩში მსოფლიოს ახალ ჩემპიონად ვაფორმდებიო.

სიმართლე უნდა ვთქვა, არა მჯეროდა, რომ ლარსენი, ძალიან ინტელიგენტი, დიდი ერუდიციის ადამიანი, სერიოზულად გააკეთებდა ასეთ ტრაბახა პროგნოზებს. მაგრამ რამდენადაც ლარსენი ამას ხშირად და სხვადასხვა ქვეყანაში იმეორებს, ეს სერიოზულ განცხადებად უნდა მივიჩნიოთ და არა ხუმრობად.

მაგრამ ლარსენს უნდა ახსოვდეს ძველი თქმა: სანამ არ გადახტები, „ჰოპს" ნუ იტყვით. პორეჩში პორტიშმა კინაღამ დიდი, ძალიან დიდი სირცხვილი ჭამა. მართალია 2,5-0,5 სტარტის შემდეგ გვგონებოდა, რომ ლარსენი პორტიშთან მატჩს პორეჩში საკურორტო გამგზავრებად თვლიდა. გვგონებოდა, რომ ლარსენს შეუძლია მატჩი უმწვრთნელოდაც ითამაშოს. დანიელს მიაჩნია, რომ საუკეთესო მწვრთნელია ცოლი (ჩვენ ეს გვეეჭვება). ლარსენი იმდენად ოპტიმისტურად იყო განწყობილი და დარწმუნებული, რომ საერთოდ აღარ თვლიდა პორტიშს მოწინააღმდეგედ. მეოთხე პარტიაში დანიელმა ოდნავი საფუძვლის უქონლად უარი თქვა ყაიმზე და შამათი მიიღო! მაგრამ არა მარტო ეს: მან პორტიშში, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ვეფხვი გამოაღვიძა. უნგრელი გროსმაისტერი ისე ძალიან გაჯავრდა, რომ მთელი სიმძლავრით დაიწყო თამაში და მეშვიდე პარტიაში ანგარიში გაათანაბრა. პორტიშს ყველა შანსი ჰქონდა მეცხრე პარტიაში ლიდერობა ეგდო ხელთ, და მაშინ „ლარსენის პრობლემა" გადაჭრილი იქნებოდა. თამაში ყაიმით დამთავრდა, და ძალიან გულნატკენი დარჩა ლ. პორტიში, რომელმაც მეათე პარტია თავის შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარა.

ბედნიერი, მაგრამ, საერთოდ რომ ვთქვათ, დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ლარსენმა, რომელსაც ამ მატჩის მოგება ორჯერ მოუხდა: მესამე პარტიის შემდეგ და მეათეში. პორეჩში გამართული ორთაბრძოლა ყველაზე საინტერესო, დაძაბული, დრამატულიც კი იყო. ლარსენმა იუგოსლავია ისე დატოვა, რომ პატარა კოპი გაჰყვა. ვფიქრობ, ახლა იგი უფრო ფრთხილად იქნება თავის გამოთქმებსა და პროგნოზებში.

მაშ ასე, ჭადრაკის ფრონტები მოკლდება. დარჩა ორი ფრონტი: კორჩნოი-ტალი და ლარსენ-სპასკი. ბევრ მოჭადრაკეს ირონიულად ეღიმება, კორჩნოი-ტალის მატჩზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი. საწყალი ტალი! რა ძალიან გაუჭირდება. ის ხომ სრულებით ვერ „უძლებს" კორჩნოის. საქმე ის არის, რომ კორჩნოისა და ტალის პირადი შეხვედრების ანგარიშია 8:1 (!!) კორჩნოის სასარგებლოდ. ვფიქრობ, რომ წინანდელ შეხვედრებს რაღაც ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ ტალი ამბობს, წინანდელი შეხვედრები ასე ძლიერ ზემოქმედებას რომ ახდენდნენ ფსიქიკაზე, მაშინ კორჩნოის წინააღმდეგ დაფასთან დაჯდომა რაღა საჭირო იქნებოდაო. ტალის თაყვანისმცემლები ხუმრობით ამბობენ, ყველაფერი კარგად მიდისო. აი ახლა მიიღო მიშა ტალმა შესაძლებლობა... სამაგიერო გადაუხადოს კორჩნოის მთელი წარსული წყენინებისთვისო.

ჩვენი ორი შესანიშნავი მებრძოლის, ჭადრაკის ორი ნამდვილი გმირის კორჩნოისა და ტალის მატჩი ყოველ შემთხვევაში ყოველმხრივ განსაკუთრებით საინტერესო იქნება.

სპასკისა და ლარსენის ადრინდელ შეხვედრათა შედეგია 3:1 სპასკის სასარგებლოდ. ამ მატჩზე ორგანიზატორთა მოთხოვნილება უდიდესია. თხოულობს სტოკჰოლმი, თხოულობს კვლავ იუგოსლავია და სხვა ქვეყნები. ლარსენს თუ დავუჯერებთ, სპასკი უკვე „განწირულია". მაგრამ საბჭოთა მოჭადრაკეები როდი ჩქარობენ თავიანთ მსჯელობაში. ჩვენში ამბობენ, ვიცოცხლოთ და ვნახავთო. მაგრამ შინაგან რწმენას ვერავინ ვერ წაგვართმევს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

მეოთხედფინალები ოთხ ფრონტზე რომ დაიწყო, ძალთა თანაფარდობა თანაბარი იყო: 4 საბჭოთა და 4 უცხოელი მონაწილე.

ახლა ორი ფრონტი დარჩა, ამასთან საბჭოთა მოჭადრაკეებს უკვე დიდი რიცხობრივი უპირატესობა აქვთ: 3:1. ლარსენის პრობლემა წარმატებით გადაიჭრება. მაგრამ თამაში, ბრძოლა იქნება. დიახაც! მით უკეთესი, მით უფრო წარმტაცი იქნება ეს ჭადრაკის ხელოვნების მოყვარულთათვის.

**სალო ფლორი.**

## მ. ბოტვინიკის აზრით

ბოტვინიკის გამოსვლამ მოსკოვის უნივერსიტეტში დიდი ინტერესი გამოიწვია.

**თქვენი შთაბეჭდილება ტალ-გლიგორიჩის მატჩზე?**

ჯერ ტალი საკმაოდ მარცხიანად მოქმედებდა, მაგრამ მაისის დღესასწაულის შემდეგ საოცრად ცუდად ითამაშა გლიგორიჩმა. მეექვსე პარტიაში მას ორი უხეში შეცდომა მოუვიდა. ეს მეტისმეტად ბევრია ერთი შეხვედრისათვის.

**ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი?**

რეალური შანსები აქვთ სპასკის, კორჩნოისა და ლარსენს. ვფიქრობ პირველი ორის შესაძლებლობები უკეთესია.

**ვინ გაიმარჯვებს სპასკი-ლარსენის მატჩში?**

მე ვფიქრობ, გაიმარჯვებს სპასკი, რადგან იგი, ჩემი აზრით, უფრო ღრმა მოჭადრაკეა.

**მართალია თუ არა, რომ წამყვანი საბჭოთა მოჭადრაკეები ახლა უარესად თამაშობენ, ვიდრე 5-6 წლის წინ?**

თუ ეს მე მეხება, გეთანხმებით, მაგრამ არ ვიცი, დაგეთანხმებიან თუ არა დანარჩენები.

## რადიო

ოთხშაბათი, 5 ივნისი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. გადაცემა „215 ათასი ტონა ჩაისათვის", 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — ს. რახმანინოვი. კამერული ნაწარმოებები, 11.15 — საბჭოთა საოპერო მუსიკის კონცერტი, 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.45 — მღერის ვოკალური კვარტეტი „დიელო", 13.40 — ო. რესპიგი. კამერული ნაწარმოებები, 17.15 — კონცერტი სიღნაღის, საჩხერისა და გეგეჭკორის რაიონების თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის. „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა, 18.45 — ვალსები კინოფილმებიდან, 19.00 — ციკლიდან „ისწავლე მეურნეობის გაძღოლა" — საუბარი „საწარმოს მატერიალური წახალისების ფონდი", 19.15 — მღერის ე. გოროვეცი, 19.45 — ყარა ყარაევი. ექვსი პრელუდია, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი", 21.00 — „ძილისპირული" 21.15 — ციკლიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზია". რუსი საბჭოთა პოეტების ლექსები, 21.35 — რადიოჟურნალი „ჩანგი", 23.30 — სკრიაბინი. საფორტეპიანო კონცერტი. სოლისტი — ჰ. ნეიჰაუზი.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

4 ივნისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „იაკობ სვერდლოვი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ბავშვებისათვის — ვ. ცაგარეიშვილის საბავშვო ოპერა „ბრიყვი წრუწუნა" (ცხაკაიას საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით), 18.55 — გადაცემა „უკვდავი რესპუბლიკა", 19.20 — საუბარი — „აფხაზური ხალხური საკრავები" (სტუდიაში — მუსიკისმცოდნე ვაჟა გვახარია), 19.50 — კინოპროგრამა, 20.15 — გადაცემა „ქართული ჩაის დღეები მოსკოვში", 20.45 — „ჩვენი ისტორია" (სტუდიაში — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ლორთქიფანიძე), 21.00 — ვიეტნამთან სოლიდარობის სატელევიზიო მიტინგი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — მხატვრული ფილმი „იაკობ სვერდლოვი".

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — 11-დან 12 ს. და 5 წუთამდე და 18-დან 00 ს. და 15 წუთამდე.

### თეატრები

4 ივნისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე, თოჯინების ქართული — ნანა ტყეში (დასაწყისი დღის 12 ს.).

### კინო

4 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, (საზამთრო), ბათუმი, ეკრანი — განსაკუთრებული აზრი, ოქტომბერი — დაუვიწყარი, ფილარმონიის ზალი, საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კომკავშირელი, ყაზბეგი (I დარბაზი), ვაკის პარკი — მარჯვედ მოეწყო, საქართველო (მწვანე დარბაზი), ბათუმი, ნაკადული — დიდი მწვანე ველი, საქართველო (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი), სპორტი — სირტაკი. ისანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი), მეგობრობის პარკი — ქორწილი მალინოვკაში, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), კოლხიდა (საზაფხულო) — მეზობლები, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — ბუზეს ხაცოლე, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — ორი კაპიტანი, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი — 1, 3, 5, 7, 9 ს.), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — საფრანგეთო, წინ! 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — დიდი დათვის თანავარსკვლავედის შვილები, თბილისი — ქალი და მამაკაცი, ყაზბეგი (II დარბაზი), ოფიცერთა სახლი — მეშვიდე თანამგზავრი, ყაზბეგი (II დარბაზი) — კუთხის ოთახი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — ამბავი ერთი სიყვარულისა, თანამგზავრი — გოგოები არ მივყავს, თანამგზავრი (3, 6, 9 ს.) — ანა კარენინა (I, II სერია), ეკრანი (4 ს.) — შენი თანამედროვე (I, II სერია), ნაკადული — შვიდი მამაცი, კოლმეურნე — ორი გულის პოემა, კოსმოსი — კრაზაპა (11 ს.), ჯაშუშთა ქსელი, ბარის მცხოვრებნი (1 ს.), ინდოეთის აკლდამა (I, II სერია 4 ს. და 30 წ.), მისი მსახურის და, ასი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი (8 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-16, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04101 საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.